

ადგილი, სადაც ცივილიზაცია იწყება

მეხეთი

muslim georgia

بسم الله الرحمن الرحيم

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

დიანეთის საქმეთა
სამმართველოს გამომცემლობა

სახალხო წიგნები

თარგმნა
თამაზ მიქელაძემ

გრაფიკა და დიზაინი
ბილალ ილკაი

muslim georgia

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
وقف تضامن دولي مسلمو جورجيا
muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı

www.muslimgeorgia.org
info@muslimgeorgia.org
muslim.georgia.18
muslim.georgia.54
georgiaquran
muslim_georgia
muslimgeorgiaquran
muslimgeorgia

სიყალბისაგან
ხათიჟე-ძეგელი

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity
muslim georgia

ISBN 978-9941-9-2-6-1
ISBN 978-9941-9-2-6-1
ISBN 978-9941-9-2-6-1

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

სარჩევი

ცივილიზაციის დაწყების ადგილის შესახებ	7
ბევრის ერთობა	21
მეჩეთი, როგორც განათლების ცენტრი	25
თანამედროვე საზოგადოებაში მეჩეთებისა და რელიგიური პირების შეცვლილი როლები	33
ჩვენი სულიერი ერთიანობის ცენტრი, მეჩეთი	41
მეჩეთი და მუსლიმის ცხოვრება	45
მეჩეთის არქიტექტურის დაბადება და განვითარება	50
მეჩეთი და ქალი	57

muslim georgia
muslim georgia
muslim interpretation quality foundation
muslim georgia

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

ცივილიზაციის დაბადების აღგილის შესახებ

დოქ. ექრემ ქელეშ

ისლამის ზოგიერთი სწავლულის მიერ ჩამოთვლილ უცნაურობათა ჟაჭვიდან ერთ-ერთი მოვლენა არის ის, რომ ზოგი მეჩეთი მრევლის გარეშეა დარჩენილი. მკითხველის გარეშე დარჩენილი წიგნის მსგავსად...

როგორც მსმენელის გარეშე დარჩენილი მუსიკა...

სალოცავი ადამიანისთვისაა. თუ შიგ ადამიანი არ შევა ცარიელ შენობას რა ფასი შეიძლება ჰქონდეს? სალოცავს სალოცავად მისი ფუნქცია და მუშაობა აქცევს.

დედამიწა მუჰამმედის მიმდევრებისთვის სალოცავადაა დადგენილი. ეს ნიშნავს,რომ მუჰამმედის მიმდევრები, სადაც არ უნდა იყონ, ყველაგან სალოცავი უნდა შექმნან

და ერთად აღასრულონ ლოცვა. ის შენობები, რომლებიც მეჩეთებადაა აშენებული ამ სულისა და მისწრაფების გარეგნული მხარე და სიმბოლოა. რა თქმა უნდა, სანამ ამ წმინდა ადგილებს, რასაც მეჩეთები ჰქვია, მრევლი ეყოლებათ და იქ ნამაზი შესრულდება, თავიანთ ნამდვილ ფუნქციას შეასრულებენ და იქნებიან ნამდვილი სალოცავები.

მეჩეთი ადამიანებს ერთად კრებს და ისინი ერთად აღავლენენ ლოცვას. ისლამის საფუძველსაც ხომ ერთიანობა წარმოადგენს, ამდენად მეჩეთებს ამ თვალსაზრისით დიდი მნიშნელობა ენიჭებათ. მეჩეთში ხდება ადამიანთა სულიერი დაახლოება და ერთიანი სულიერი განცდების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება.

მეჩეთებს გააჩნიათ თვისება, რომ შეკრიბონ ყველა რანგის, ყველა პროფესიის თუ მდგომარეობის ადამიანები და მიუხედავად მათი სოციალური, ეთნიკური, ფინანსური, კულტურული თუ სხვა სტატუსისა, ყველანი თანაბარ პირობებში მხარდამხარ დგებიან და ლოცვას აღარვლენენ. განა სხვას რას შეუძლია ასე განამტკიცოს საზოგადოებრივი ერთიანობა, შემწყნარებლობა და სიყვარული?

განათლების ფუნქცია

მეჩეთები თავდაპირველადვე შუამავლის თაოსნობით მოწყობილი განათლების ცენტრები იყო, სადაც შუამავალი შეგონებებითა და პრაქტიკულადაც მრევლის აღზრდა-განათლებას ეწეოდა. ეს პროცესი დღემდე გრძელდება. მეჩეთები ამ თვალსაზრისით უხილავი უნივერსიტეტების მსგავსია. მეჩეთები მხოლოდ ის ადგილები არ არის, სადაც ერთი კონკრეტული მიმართულებით ვითარდება ადამიანი, არამედ იქ მისული მლოცველი მისდაუნებურად ბევრ რამეს სწავლობს და ბევრ სასარგებლო ქცევას იძენს.

მეჩეთი არის ადგილი, სადაც ადამიანი, მეჩეთში ქცევის წესისამებრ, იძენს ისეთ დამოკიდებულებებსა და ქცევებს, რაც საზოგადოებრივი წესრიგისათვის მნიშვნელოვანი შენაძენია. მეჩეთში მოქმედებს წესები, რომლებიც საზოგადოებაში ადამიანებს შორის ურთიერთობებს აწესრიგებს. მეჩეთი არის ადგილი, სადაც ადამიანები ღვთისმსახურების მიზნით იკრიბებიან. იქ ხდება ადამიანთა ერთიანობა. ამდენი ადამიანის ერთ ადგილას შეკრება და კონკრეტული სივრცის გაზიარება გარკვეული წესების ცოდნასა და დაცვას მოითხოვს. გამომდინარე აქედან, მეჩეთში ყოფნისას უპირველეს ყოვლისა ეს უნივერსალური

წესები უნდა ვიცოდეთ. მეჩეთში ყოფნისას ადამიანები გამოხატავენ სიყვარულს, პატივისცემას, თავაზიანობას, მოკრძალებას, ერიდებიან სხვების შეწუხებას, სხვათა უფლებების დარღვევას, რაიმე სახის უხეშობას და სხვა. ეს და სხვა ამგვარი დამოკიდებულებები მეჩეთში ქცევის აუცილებელი პირობებია. მეჩეთში მისული ადამიანი ყველა ამ წესს თავისდაუნებურად შეითვისებს და შეასრულებს, თუ რაღა თქმა უნდა მეჩეთი თავის ნამდვილ ფუნქციას ასრულებს.

თუნდაც გავიხსენოთ, რომ შუამავალმა მლოცველებს მოუწოდა, მეჩეთში ცუდი სუნით არ შესულიყვნენ, რათა იქ ადამიანები არ შეეწუხებინათ. მეჩეთი არის ადგილი, სადაც ადამიანები ერთად იკრიბებიან და ლოცულობენ, იქ კი, უპირველეს ყოვლისა, სხვების შეწუხებას უნდა მოვერიდოთ. მაგალითად ჭუჭყიანი და არასასიამოვნო სუნის მქონე წინდებით მეჩეთში შესვლა მეჩეთში ქცევის წესებს ეწინააღმდეგება. წმინდა აიათის მიხედვით, სალოცავში წასვლისას სუფთად და ლამაზად ჩაიცვითო, ნაბრძანებია. შუამავალიც მოუწოდებდა მრევლს,რომ ჯუმის სალოცავად მეჩეთში წასვლის წინ ებანავათ. (ბუჰარი,ცუმა 2, 5, 12; მუსლიმ, ჯუმა 1, 2, 4;)

ეს არის მხოლოდ ერთი მაგალითი საიმისოდ, თუ როგორ როლს ასრულებს მეჩეთი ადამიანის აღზრდაში. მეჩეთების ძირითადი ფუნქცია კი უფრო სიღრმისეული და უფრო მრავლისმომცველია, რადგან ისლამი საზოგადოებრივი ერთიანობის საფუძვლებს; ძმობას, ერთიანობას, შემწყნარებლობასა და საკუთარი თავის მსგავსად სხვაზე ზრუნვას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. ნამაზი ამ პრინციპების ცხოვრებაში განხორციელების თვალსაზრისით დიდ როლს თამაშობს. დღეში ხუთჯერ ჯამაათის მიერ ერთად ნალოცი ნამაზი, ჯუმა, ბაირამი, თარავი და სხვა ერთად შესრულებული ღვთისმსახურება ადამიანებს მეჩეთში აერთიანებს. იქ მყოფი ადამიანები ერთნაირი გრძნობებითა და განცდებით იმუხტებიან. სხვადასხვა სტატუსისა და მდგომარეობის ადამიანები, ყველაზე მაღალი რანგის სტატუსის მქონეები და ასევე რიგითი მოქალაქეებიც ყოველგვარი ამქვეყნიური მდგომარეობისგან თავისუფლდებიან და ასე თანაბრად, მხარდამხარ დგებიან. ეს არის თანასწორობის ადგილი. სწორედ მეჩეთები იყო ის ადგილები, რომლებიც წარსულში ადამიანებს შორის კლასობრივი კონფლიქტების წარმოქმნას ხელს უშლიდა. ეს იყო მეჩეთის ერთ-ერთი ძირითადი თვისება.

ცივილიზაციის საწყისი

მეჩეთი ცივილიზაციის საწყისია. მკვლევარების აზრთა თანხმობაა იმის შესახებ, რომ სწორედ მეჩეთეთები იყო პირველი ისლამური საზოგადოების ცენტრი. როდესაც შუამავალაი მექადან მედინაში გადავიდა, უპირველეს ყოვლისა, მეჩეთი ააშენებინა და ისლამური ერთიანობის საფუძველი შექმნა. იქ იკრიბებოდნენ მუსლმები და მიმდინარე თუ სამომავლო საკითხების შესახებ ბჭობდნენ. იმ დღიდან მოყოლებული მეჩეთები მუსლიმების ცხოვრებაში ესოდენ მნიშვნელოვან ადგილს წარმოადგენს.

შუამავლის როლი, როგორც სამაგალითო პიროვნების, მეჩეთში ვლინდებოდა და ნათლად ჩანდა, რომ მეჩეთი არამარტო ღვთისმსახურების ადგილი, არამედ უფრო ფართო ფუნქციის მქონე ცენტრს წარმოადგენდა. ღვთისმსახურების გარდა აქ იღებდნენ განათლებას, იმართებოდა თათბირები, უსახლკაროებისთვის ის იყო კვებისა და თავშესაფრის ადგილი და სხვა. მეჩეთები ასევე დიდ როლს თამაშობდა განაშენიანების თვალსაზრისით. მოსახლეობა როგორც წესი მეჩეთების ირგვლივ სახლდებოდა. დასახლებულ პუნქტებში ჯერ მეჩეთი შენდებოდა, ხოლო შემდეგ მის ირგვლივ ხდებოდა განაშენიანება იქმ-

ნებოდა უბნები, რაიონები, ქალაქები. მეჩეთები იქცა ისეთ ცენტრებად, სადაც ადამიანები ღვთისმსახურების გარდა მრავალი მიმართულებით იყვნენ გაერთიანებულნი.

ღმერთის სახლი

ამ ყველაფერთან ერთად მეჩეთის ძირითადი ფუნქცია ღვთისმსახურებაა, რადგან ის ღმერთის სახლია. ამ სახელწოდებიდან გამომდინარე ის წმინდა ადგილია. მეჩეთი ღვთისმსახურებისთვისაა აგებული, ამიტომ მისი სიწმინდე და ხელშეუხებლობა დაცული უნდა იყოს. ამიტომაა, რომ ადამიანები მეჩეთში შესვლის წინ განიბანებიან ხოლმე. ამასთანავე მეჩეთში მათხოვრობა არამია, ხოლო ვაჭრობა -მიუღებელი. ასეთი ქმედებები მეჩეთის მიმართ უპატივცემულობაა.

მეჩეთის ირგვლივ მცხოვრები მოსახლეობის რელიგიური ვალდებულებაა მეჩეთს თავისი ფუნქცია შესძინონ და შეუნარჩუნონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მიატოვებენ მეჩეთს, ეს მათ მიმართ დიდ პასუხისმგებლობას წარმოშობს. ყოველმა მუსლიმმა უნდა იცოდეს მეჩეთის მიამრთ თავისი ვალდებულებები და მეჩეთ-

ში მოქცევის წესები. სალოცავის წინაშე ვალებულებების შეუსრულებლობა მიუღებელია. შესაბამისად მლოცველები შეძლებისდაგვარად უნდა ცდილობდნენ ნამაზი მეჩეთში შეასრულონ და მეჩეთის ფუნქცია აქტიურ მდგომარეობაში შეინარჩუნონ. გამომდინარე აქედან, სასურველია იმ მეჩეთში მივიდეთ ნამაზზე, რომელთანაც ახლოს ვცხოვრობთ. ასევე სალოცავის მიმართ ვალდებულების მაგალითია შემდეგი წესი: როდესაც ნამაზის დრო მოვა და ეზანს დაიძახებენ, მეჩეთში მყოფი მუსლიმი ვალდებულია იმ მეჩეთში ილოცოს ის ნამაზი, სადაც იმ მომენტში არის, ხოლო თუ ნამაზის ლოცვის გარეშე წავა, ეს მექრუჰია. ეს და ყველა ამგვარი წესი მიმართულია მეჩეთის ფუნქციის განმტკიცებისა და შენარჩუნებისთვის.

დასახლებული პუნქტების ვინაობის დამადასტურებელი

მეჩეთები იმ დასახლებული პუნქტების ვინაობის დასტურია, სადაც ისინი დგას. სადაც მეჩეთია ეს ნიშნავს, რომ იქ მუსლიმები ცხოვრობენ. გარდა ამისა, მეჩეთთან ახლო კავშირში მყოფები ვინაობას იოლად არ დაკარგავენ, რადგან მეჩეთთან

კავშირი სარწმუნოებასთან კავშირს ნიშნავს. სარწმუნოება კი ადამიანის ვინაობის შენარჩუნების საუკეთესო გარანტია. ყურანში ნაბრძანებია: „მხოლოდ ის ააგებს ალლაჰის სამლოცველოებს, ვინც ირწმუნა ალლაჰი, დღე უკანასკნელი და აღავლინა ლოცვა, გაიღო ზექათი და არ აქვს შიში, გარდა ალლაჰისა. ეგების ჭეშმარიტ გზაზე მავალნი იყვნენ ეგენი!“ (თევბე 18)

ნებისმიერ ადგილზე ისლამის იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის მეჩეთებს უდიდესი როლი აკისრიათ.

ფიზიკური და სულიერი არქიტექტურა

მეჩეთის არქიტექტურაზე საუბრისას ბუნებრივია მისი გარეგნული სახეც იგულისხმება, მაგრამ სალოცავის ძირითადი არსი მაინც მისი ფუნქციაა. გამომდინარე აქედან, სამლოცველოს, რომელსაც მლოცველი არ ჰყავს, რაც არ უნდა სრულყოფილი არქიტექტურის მქონე იყოს, მაინც უსახური და განადგურებისთვის განწირულია.

ამ მხრივ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მეჩეთს გააჩნია როგორც ფიზიკური, ისე სულიერი არქიტექტურა და არქიტექ-

ტორი. მეჩეთს ფიზიკურად ინჟინრები, არქიტექტორები აგებენ. მისი სულიერი არქიტექტორები კი იმამი, მუეზინი, მქადაგებელი მოლები და ყველა ის ადამიანია, რომელიც მეჩეთის ფუნქციონირებას წარმართავს. სულიერი არქიტექტორობა გაჩილებით ძნელია, ვიდრე ფიზიკური. მეჩეთის აგებას მატერიალი ჭირდება; ქვა, რკინა, ბეტონი, ცემენტი და ა.შ. სულიერი არქიტექტურის „მატერიალი“ კი ადამიანია. სულიერი არქიტექტურის აგებისათვის ადამიანთა გულები, გრძნობები და გონებაა საჭირო. შესაბამისად სულიერი არქიტექტურა უფრო რთული და ფაქიზია, რაც განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს.

ნორმალურ, სამშენებლო არქიტექტურის აგებისას ქვა ან რომელიმე მასალა თუ დაზიანდება მისი სხვა ნაწილით ჩანაცვლება შესაძლებელია და თან ადვილია. სულიერი არქიტექტურის დროს ამგვარი შესაძლებლობა არ არის და შესაბამისად დაზიანებულის გამოსწორება შეუძლებელია. გული, როგორც კრისტალი ერთხელ თუ დაიმსხვრა აღარ გამრთელდება. ამიტომაა, რომ სამშენებლო არქიტექტორზე მეტი წრთვნა და განათლება სულიერ არქიტექტორს სჭირდება.

ბავშვის ან ახალგაზრდა ადამიანის გული რომ მეჩეთს დაუკავშირდეს და შეიყვა-

როს, ეს სულიერი არქიტეტურის სფეროა. სწორედ აქ არის დიდი ძალისხმევა საჭირო.

სალოცავები, თავიანთი ფიზიკური და სულიერი არქიტექტურით ადამიანის სხეულისა და სულის მსგავსია. არც სული შეიძლება სხეულის გარეშე და არც სხეული სულის გარეშე. ფიზიკური არქიტექტურა კონვერტს გავს, ხოლო სულიერი არქიტექტურა -რაც კონვერტშია ანუ წერილს, შინაარსს.

მეჩეთები მლოცველებისთვის, როგორც სულიერი ისე ფიზიკური თვალსაზრისით, მიმზიდველი უნდა იყოს. იქ უნდა შეიქმნას ისეთი გარემო, რომ ადამიანები ღმერთის სახლში გრძნობდნენ თავს. მეჩეთის გარემო, იქ მომუშავე ადამიანები კარგად მომზადებული და განათლებული უნდა იყონ. ეს ყველაფერი სინთეზში უნდა ქმნიდეს სალოცავს, რომელიც ღირსი უნდა იყოს ატაროს სახელი „ღმერთის სახლი“.

ჰარმონიული გარემო

სალოცავში ზემოთ ხსენებული გარემო თუ იქნება, იქ შფოთი და გაუგებრობა

ველარ დაიბუდებს. ყოველგვარი არეულობისა და გაუგებრობისგან დაცული ასეთი ადგილი მლოცველთათვის სიმშვიდისა და ჰარმონიის გარემოდ იქცევა. მეჩეთი და შფოთი, არეულობა არათავსებადი, ორი სხვადასხვა მხარეა. მეჩეთში მოსული მლოცველი ღვთისმსახურებისთვის, განწმენდისათვის არის მოსული და ამგვარი მზაობა ნებისმიერ არეულობას გამორიცხავს.

სალოცავში მისული მლოცველი სრული მნიშვნელობით უნდა განიწმინდოს. ეს მეჩეთის ფუნქციონირების მიზანია. სალოცავი საზოგადოებისგან ექაჩება ადამიანებს, მასთან მიყავს, სულიერ სიმშვიდეს ჩაუნერგავს, განწმენდს და ისევ საზოგადოებაში აბრუნებს. სალოცავშ თუ ეს პროცესი არ მიმდინარეობს, მაშინ იმ სალოცავის სულიერი არქიტექტურა არასაკმარისია და შესაბამისად არადამაკმაყოფილებელი.

მეჩეთში მისულმა მლოცველმა სიმშვიდე უნდა ჰპოვოს. იქ არ უნდა მოხდეს ნებისმიერი რამ, რაც მის სიმშვიდეს დაარღვევს და მას შეაწუხებს. დაუშვებელია პოლიტიკური და იდეოლოგიური სახის პაექრობა და კამათი. იქ მომსვლელმა უნდა იცოდეს, რომ სიმშვიდეს ჰპოვებს და

სულიერად განიწმინდება. მლოცველი უნდა გრძნობდეს, რომ ის მიზანმიმართულად მივიდა სალოცავში, რათა ყოველდღიურობა ცოტა ხნით დაივიწყოს და ილოცოს. მლოცველს განწმენდის სურვილი უნდა ამოძრავებდეს. მისი ეს სურვილი სალოცავში უნდა ახდეს. ამ სურვილის ასახდენად კი სწორედ რომ სულიერი არქიტექტურაა საჭირო. იქ მისული მლოცველი მთელი არსებით უნდა გრძნობდეს რწმენასა და ნამდვილ თავისუფლებას.

თავისუფლების სფერო

ზოგიერთის აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად მეჩეთი არის ადგილი, საიდანაც თავისუფლება იწყება. ადამიანის თავისუფლებას ყველაზე მეტად საკუთარი სისუსტეების ალყაში მოქცევა და შედეგად თავისუფლი ნების დაკარგვა ზღუდავს. მეჩეთი სწორედ ის ადგილია, სადაც ადამიანი ყველა ამ შფოთვისგან თავისუფლდება. ათსობით ტავსატეხით დაბნეული ადამიანი მეჩეთში სხვებთან ერთად მხარდამხარ დგება და ყველაფერს ივიწყებს. ამიტომაა მოთხოვნა, რომ ლოცვისას მწკრივში სწორად დავდგეთ, მხრები ერთმანეთს გავუსწოროთ. მწკრივის გასწორებისას თუ რო-

მელიმე მორწმუნე ძმას მივმართავთ, რომ სწორად დადგეს, ეს უკიდურესად თავაზიანად უნდა გავაკეთოთ. ლოცვის დროს მწკრივების სისწორეს და ახლოს დგომას დიდი მნიშნელობა ენიჭება. ყველა ადამიანი, მიუხედავად თავისი მდგომარეობისა და სტატუსისა ერთად, თანაბრად დგება და ლოცულობს, სწორედ ეს იწვევს თავისუფლების განცდას.

მეჩეთი არის ადგილი, სადაც ადამიანს შეუძლია გათავისუფლდეს საკუთარი სურვილების ჰეგემონიის, ეშმაკის გავლენისა და ასევე მცდარი საზოგადოებრივი მიმართულებების ზეწოლისგან. იქ მისული ადამიანი მხოლოდ ღმერთს ემსახურება და შესაბამისად ყოველგვარი მონობისგან თავისუფლდება. იქ მისულ მორწმუნეს ვეღარ სძლევს ცდუნებები. ის სიმშვიდის ადგილია. ყურანში ნაბრძანებია: „და უეჭველად, სალოცავები ალლაჰს ეკუთვნის. დაე, ნუ მიეაჯები ალლაჰთან ერთად ვინმეს!“ (ჯინ 18)

muslim.ge
muslim charity
International charity

ბეჭრის ერთობა

Sadık Yalsızuçanlar

დედამიწა სალოცავია. სალოცავი არის ადგილი, სადაც თაყვანისცემა სრულდება. „სეჯდე“ არის მომენტი, როდესაც ადამიანი ყველაზე ახლოსაა ღმერთთან. წმინდა გზავნილის მიხედვით ღმერთმა ბრძანა, რომ თუ ადამიანი მას ერთი ნაბიჯით მიუახლოვდებოდა, მე მისკენ სირბილით წავალო.

მორწმუნეთა შუბლი, როგორც წესი, სეჯდის სხივითაა განათებული. ღვთისადმი თაყვანისცემის მიზნით მორწმუნეები მეჩეთში იკრიბებიან. ამიტომ ჰქვია მას ღმერთის სახლი. იქ იკრიბებიან სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობისა თუ ნებისმიერი სხვა სტატუსის მატარებელი ადამიანები და ყველანი ერთად ღმერთის წინაშე ლოცულობენ.

მეჩეთს შეკრების, ადამიანების ერთად თავმოყრის ფუნქცია აქვს. აქ შეკრებილები, ყველანი ერთად სამყაროს გამჩენს ეთაყვანებიან და ღვთისმსახურებას აღავლენენ. ამასთანავე ღმერთი ბრძანებს, რომ მთელი დედამიწა სალოცავია და თავად ყოველთვის მორწმუნეთა გვერდითაა. მუჯადელეს სურას მე-7 აიათში ვკითხულობთ: „განა ვერ ხედავ, რომ ალლაჰი უწყის, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა? და არ იქნება საიდუმლო ბჭობა სამთა, რომ არ იყოს მეოთხე ის და არც ხუთთა, რომ იგი არ იყოს მეექვსე და არც ნაკლები ამაზე და არც მეტი, რომ არ იყოს იგი მათგან, სადაც არ უნდა იყვნენ. მერე აღდგომის დღეს მათ ამცნობს იმას, რაც ჰქმნეს. უეჭველად, ალლაჰი ყოვლისმცოდნეა.“

მეჩეთი მრავალი ადამიანის ერთიანობას ნიშნავს. აქ ერთი მიზნით და ერთ სივრცეში ბევრი სხვადასხვა ინდივიდი იყრის თავს. იქ მყოფები ერთიმეორის იდენტური არ არიან, ისინი განსხვავდებიან, მაგრამ ერთნი არიან და ერთ მიზანს ემსახურებიან. მუსლიმების სალოცავში მრავალთა ერთიანობა საუკეთესო ფორმით ვლინდება.

მეჩეთები ღვთიური ცენტრია. ის ადამიანებს დღეში ხუთჯერ სალოცავად მისვ-

ლისა და ღმერთის წინაშე თაყვანისცემისაკენ მოუწოდებს. ქალაქის თუ სოფლის სხვადასხვა მხრიდან ადამიანები სათითაოდ მოდიან და იქ იკრიბებიან. ისინი ღმერთის სახლის ჩრდილქვეშ შედიან. ნამაზი მორწმუნეთა მირაჟია, ამაღლებაა. მეჩეთი კი ამ ამაღლების ადგილია.

გარდა ამისა, მეჩეთს გააჩნია ყველა ის პირობები, რომლებიც შესრულებული ნამაზის სულიერებას შეეფერება. ნამაზის დასაწყისში ყველაფერ ამქვეყნიურთან განშორება და ღმერთის წინაშე წარსდგომა. შემდეგ ყურანის კითხვა, ქედის მოხრა, ძირს დამხობა და თაყვანისცემა. შემდეგ მუხლმოყრილ მდგომარეობაშ ლოცვა და მისალმება. პირველი მისალმება უზენაესზე გამომშვიდობებაა, ხოლო მეორე მისალმებით ამაღლებიდან მობრუნებული ადამიანი მატერიალურ სამყაროს ესალმება.

ეს საიდუმლო ამაღლება მეჩეთში, ნამაზის დროს ხორციელდება და მორწმუნე ღმერთის წინაშე წარსდგება ხოლმე.

მლოცველების მხარდამხარ დგომა, შეიძლება ითქვას, რომ მეჩეთის ნამდვილი არსის რეალურ სურათს გამოხატავს.

გარდა ამისა, მეჩეთი მხოლოდ ღვთისმსახურების ადგილი არ გახლავთ. იქ შეკ-

რებილი ადამიანები ერთიმეორეს ეცნობიან, ესაუბრებიან, მოვლენებს და პრობლემებს განიხილავენ, გეგმებს ადგენენ და ა.შ. აქ მოსული ადამიანები ამტკიცებენ როგორც ფიზიკურად ერთად დგომას და ერთიანობას, არამედ ისინი გონებრივადაც და სულიერადაც ერთად არიან.

ჩვენი სახლებიც სალოცავებია, ასევე სალოცავია მთელი დედამიწა. ისლამური ქვეყნების სალოცავებს რომ დავაკვირდეთ, რა ლამაზია, რა სუფთა და მიმზიდველი. ისინი არამარტო ადამიანთა ერთად შემკრები და ღვთისმსახურების ადგილებია, არამედ ისინი ჭეშმარიტების, მართალი რწმენისა და სულიერების სიმაღლეს ქადაგებენ.

მოდით, ყველა დროის ნამაზზე ისევ მივიდეთ მეჩეთებში და ოდითგანვე აღთქმული პირობა ყოველ ჯერზე განვაახლოთ.

ჩვენ ერთი ღმერთის რწმენის ხალხი ვართ. ერთად შევიკრიბოთ და ასეთი მრავალრიცხოვანი ერთობა შევქმნათ.

მეჩეთი, როგორც ვახათლების ცენტრი

პროფ. დოქ. ნესიმი იაზიჯი

როგორც ცნობილია მეჩეთი პირველი ისლამური ცენტრია, რომელიც თავის ფუნციას წარმატებით ინარჩუნებს. როგორც კი მუსლიმთა პირველი თემი ჩამოყალიბდა და ორგანიზებული ფორმა მიიღო ღვთისმსახურების შესასრულებლად მეჩეთი აშენდა და მუსლიმები ერთიანად აღავლენდნენ ლოცვებს. მეჩეთების არსებობა მათ ირგვლივ მუსლიმი მოსახლეობის არებობასთან მჭიდრო კავშირში იყო. ამიტომაა, რომ სადაც კი მუსლიმები ცხოვრობენ, ყველგან მეჩეთებს აგებენ. ნებისმიერ უცნობ ადგილას, სადაც არ ვყოფილვართ და პირველად ჩავდივართ, იმის გასარკვევად არიან თუ არა იქ მუსლიმები, პირველი ნიშანი არის მეჩეთის არსებობა.

ისლამურ დაწესებულებათა შორის უძველესი და დღემდე არსებული მეჩეთები თავიანთ ძირითად დანიშნულებას, საშუალება მისცენ მორწმუნეებს, რომ ერთიანად

შეასრულონ ნამაზი, დღემდე ასრულებენ. ამის პარალელურად ისტორიულმა ჟამთასვლამ ცხადყო, რომ მეჩეთების ამ ფუნქციას კიდევ სხვა ბევრი ფუნქცია დაემატა. ამ მიმართულებით ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია მედინაში აგებული შუამავლის მეჩეთი, სადაც შუამავლის თაოსნობით ლოცვის გარდა სხვა და სხვა სახის აქტივობები ხორციელდებოდა. ეს იყო ადგილი, სადაც ადამიანები, სარწმუნოებასთან თავსებადობის პირობით, სხვა მრავალ საჭიროებას იკმაყოფილებდნენ. ამ საჭიროებათაგან ყველაზე თვალსაჩინო კი სწავლა-აღმზრდელობითი საქმიანობა იყო. პირველი აიათი, რომელიც ღვთისგან მოევლინა შუამავალს იწყებოდა ბრძანებით: „წაიკითხე“. შუამავალი კი პირველი მასწავლებელი იყო და მას შემდეგ ისლამის ისტორიის თითქმის თხუთმეტსაუკუნოვან პერიოდში მეჩეთები სკოლის ფუნქციას ასრულებდა.

შუამავალი პირადად იღებდა მონაწილეობას მედინაში აგებული მეჩეთის დაგეგმვასა და მშენებლობაში. ეს მეჩეთი სამი ნაწილისაგან შედგებოდა. ერთი ნაწილი დათმობილი იყო ნამაზისთვის, სადაც მლოცველები იკრიბებოდნენ და ლოცვას აღავლენდნენ. მეორე ნაწილში იყო ოთახები, სადაც შუამავლის მეუღლეები ცხოვრობდნენ, ხოლო მესამე ნაწილი დათმო-

ბილი იყო უსახლკარო მუსლიმებისთვის, რომლებიც იქ ღამეს ათევდნენ და იკვებებოდნენ. შუამავალი ამ მეჩეთში ნამაზამდე და ნამაზის შემდეგაც მიმდევრებს რჩევა-დარიგებებს აძლევდა და მათ შეკითხვებს პასუხობდა. მედინაში, შუამავლის მეჩეთში სწავლა-აღზრდის საკითხზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს შუამავლის მიმდევართა ის ნაწილი, რომლებიც უსახლკარონი იყვენ და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მეჩეთის ერთ ნაწილში ცხოვრობდნენ. მათ „სუფფე“ ეწოდებოდათ. მათი რაოდენობა 70-დან 400-მდე მერყეობდა. სწორედ ისინი იყვნენ პირველი მოსწავლეები და ეს მეჩეთი იყო ისლამის პირველი სკოლა. შუამავლის მიმდევართა ეს ნაწილი შუამლის გვერდით უფრო მეტ დროს ატარებდა, ამიტომ უფრო მეტი ცოდნის მიღების საშუალება ჰქონდათ. გარდა ამისა, ისინი სწავლობდნენ წერა-კითხვას. ცნობილია, რომ მათი მსაწავლებელი უბადე იბნ სამითი და სხვები იყვნენ. აქ მიღებული განათლების საფუძველზე მათ უკვე შეეძლოთ თავად ყტოფილიყვნენ მასწავლებლები და შემდეგ უკვე სხვადასხვა მხარეში ისლამის შესწავლების მისიით მიდიოდნენ. ამრიგად ისლამის აღმოცენების საწყისი პერიოდიდანვე მეჩეთს ღვთისმსახურების გარდა სწავლა-განათლების ცენტრის ფუნქციაც დაემატა.

შუამავლის თაოსნობითა და წინამძღოლობით დაწყებული ეს საქმე შემდგომშიც გაგრძელდა და მეჩეთებში სწავლა-განათლების მიღება მიმდინარეობდა. პატარა მეჩეთებში მრევლის გათვითცობიერების მიზნით ქადაგებები ტარდებოდა, ხოლო დიდ მეჩეთებს ამ მიმართულებით უფრო ფართო ფუნქცია ჰქონდა და ისინი განათლების ცენტრებად იქცა. ამან გამოიწვია მეჩეთებთან მედრესეების დაარსება, სადაც მუსლიმები მრავალმხრივ განათლებას ღებულობდნენ.

შეიქმნა უდიდესი საგანმანათლებლო ცენტრები, რომელთაგან ზოგიერთის ჩამოთვლაც საკმარისია, რათა შესაბამისი წარმოდგენა შეგვექმნას. ესენია: შამის, ბაღდადის, ქაიროს, ტუნისი, ქურთუბას, ბუხარასსემერყანდის, ისპაჰანისა და სტამბოლის საგანმანათლებლო ცენტრები. ამ ცენტრებში აღიზარდნენ და ასწავლიდნენ ცნობილი სწავლულები. ცნობილია, რომ ისეთი დიდი სწავლულები, როგორებიც იყვნენ იმამი აზამი ებუ ჰანიფე, იმამი მალიქი, ჰანბელი, ჰასან ბასრი და სხვები სწორედ მეჩეთებშ მიიღეს განათლება და თვითონაც მეჩეთებში ქადაგებდნენ და გაკვეთილებსაც იქ ატარებდნენ. მეჩეთებში მხოლოდ რელიგიური სწავლება კი არ მიმდინარეობდა, არამედ ეს იყო საგანმა-

ნათლებლო ცენტრები, სადაც მეცნიერების სხვა და სხვა სფერო ისწავლებოდა.

როდესაც მეჩეთების შესახებ ვსაუბრობთ და ვამბობთ, რომ ისინი სწავლა-განათლების ცენტრი იყო, აუცილებელია გავიხსენოთ იქ არსებული წიგნები და ზოგადად ბიბლიოთეკები. ჩვენ ვიცით, რომ ისლამის გავრცელებამ პარალელურად მოიტანა სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციების ჩამოყალიბება და მუშაობა. ზოგადად მეცნიერები და სწავლულები ხშრად სათანადო მატერიალურ შესაძლებლობებს ვერ ფლობენ, რათა საქმიანობა შეუფერხებლად გააგრძელონ, ამიტომ ისინი ხშირად ასეთ საქველმოქმედო ორგანიზაციების დახმარების იმედად იყვნენ. გარდა ამისა, ასეთი ორგანიზაციები ყიდულობდნენ წიგნებს და ამ ბიბლიოთეკებს ამარაგებდნენ. წიგნები მეჩეთებშ ან მათთან არსებულ ბიბლიოთეკებში ინახებოდა და მსურველებისთვის აბსოლუტურად ხელმისაწვდომი იყო. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ აზიზიესა და ქემალიეს საქველმოქმედო ორგანიზაციები, რომლებსაც გააჩნდათ ბიბლიოთეკა, სადაც იმ დროისათვის საკმაოდ შთამბეჭდავი რაოდენობის წიგნი ინახებოდა, 12 ათასი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისლამურ სამყაროში ზოგიერთი დიდი მეჩეთის ფუნქცია არამარტო ღვთისმსახურება, არამედ საგანმანათლებლო დაწესებულება დ ჩამოყალიბება და სწავლულების აღზრდა გახდა. ამ მხრივ ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია კაიროს, ეზჰერის მეჩეთი. ფატიმების მიერ ეგვიპტის დაპყრობიდან ერთი წლის შემდეგ, 972 წლის 22 ივნისს ეზჰერი, როგორც მეჩეთი ისე გაიხსნა, მაგრამ გახსნიდან სულ მოკლე ხანში ხალიფა აზიზის ინიციატივით ეზჰერი განათლების ცენტრად გადაკეთდა. შემდგომ პერიოდშ ფატიმი ხალიფები დიდ ყურადღებას იჩენდნენ ეზჰერის მიმართ და ამასთანავე მდიდარი საქველმოქმედო ორგანიზაციებიც მუდმივად მხარში ედგა. ეუბების მმართველობის დროს ეზჰერის მეჩეთმა ძველი დიდება გარკვეულწილად დაკარგა, მაგრამ მოგვიანებით, როდესაც ეგვიპტის მმართველობა მამლუქებმა იგდეს ხელთ, ეზჰერი ისევ პოპულარული გახდა. აღმოსავლეთ ისლამური სამყაროს ამგვარ განვითარებას და აღმასვლას მონღოლთა შემოსევებმა დიდი ზიანი მიაყენა. ეზჰერი ისლამის საგანმანათლებლო ცენტრად იქცადა ამას ხელს უწყობდა ეგვიპტის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა. ეზჰერი ასევე აღმასვლას განიცდიდა ოსმალთა იმპერიის დროსაც.

მეჩეთები კარაჰანებითა და გაზნელებიდან მოყოლებული, სელჩუკებით და შემდეგ ოსმალებით დამთავრებული ყველა ეპოქაში ღვთისმსახურების გარდა საგანმანათლებლო ფუნქციასაც ასრულებდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა პატარა სოფლის მეჩეთი იყო თუ დიდი ქალაქის გზანდიოზული ნაგებობა. ყველა თავისი მრევლისა და ინტერიერის შესაბამისად სწავლა-განათლების ცენტრის ფუნქციასაც ასრულებდა. ოსმალეთის იმპერიაში დაწყებითი განათლებაც და შემდგომი სწავლებაც მეჩეთებში ან მეჩეთებთან არსებულ მედრესებში მიმდინარეობდა. ზოგადად კი მეჩეთი და სკოლა ყოველთვის ერთად იყო. გარდა ამისა, ყველა დიდ თუ პატარა მეჩეთში, ყოველ პარასკევსა თუ ბაირამის დღეებში, რამადანისა და სამთვეულის პერიოდში მუდმივად მიმდინარეობდა ქადაგებები.

მოდით, ერთი წამით თვალები დახუჭეთ და დროის გვირაბით წარსულში ვიმოგზაუროთ. წარმოიდგინეთ რამადანის თვე, სამხრობის დრო აიასოფიაში, სულთან აჰმედში, ბეიაზიდში, სულეიმანიეში, ან თუნდაც ბურსას ულუ მეჩეთის სულიერებაშ ჩასწვდით. ზოგან ჰაფიზთა ჯგუფი ყურანს კითხულობს, ზოგან მჭერმეტყველი მქადაგებლები ქადაგებენ...

დღეს კი ცვალებად და განვითარებად პირობებში მეჩეთების ყველაზე სასარგებლო ადგილად გადაქცევა ისევ და ისევ ჩვენი, ადამიანების მოვალეობაა.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity

თანამედროვე საზოგადოებაში მეჩეთებისა და რელიგიური პირების შეცვლილი როლები

დოქტ. აჰმეთ ჩექინ

თანამედროვე სამყაროში რელიგიური დაწესებულებები მხოლოდ ღვთისმსახურების მოთხოვნის დაკმაყოფილებას არ ემსახურება და მათ უკვე შეძენილი აქვთ დამატებითი მატერიალური და სულიერი ფუნქცია, რითიც მათი მოქმედების არეალი გაფართოვდა და საჭიროების მქონეებს თითქმის ყველანაირ მომსახურებას სთავაზობენ. რელიგიური ორგანიზაციების მუშაობის საკითხები დარეგულირებულია კონსტიტუციითა და კანონით, რის შედეგადაც რელიგიურ ორგანიზაციებს საშუალება ეძლევათ გამოიყენონ თავიანთი შესაძლებლობები. თანამედროვე მოთხოვნების საპასუხოდ რელიგიურ ორგანიზაციებს სჭირდება უფრო მეტად მოქნილი კანონმდებლობა, რათა ადამიანებს შესაბამისი სოციალური მომსახურება შესთავაზონ.

დღეს, მეჩეთებსა და იქ მომუშავე რელიგიურ პირებს წარსულთან შედარებით განსხვავებული მოვალეობები ეკისრებათ. ისლამის წარმოშობიდან დღემდე მეჩეთებმა სხვა და სხვა ფუნქციები შეითავსა. მაგალითად, როგორიცაა სწავლა-განათლების ცენტრი, სკოლა, სასამართლო, სასტუმრო და სხვა. ეს ასე გრძელდებოდა ოსმალეთის იმპერიაშიც. ქალაქების განაშენიანება ისე ხდებოდა, რომ ქალაქის ცენტრში მეჩეთი იყო.

თანამედროვე პერიოდშიც, განსაკუთრებით კი ისეთ ქალაქებში, სადაც მიგრაცია მიმდინარეობს, მეჩეთების ფუნქცია მხოლოდ ღვთისმსახურებით არ უნდა შემოიფარგლოს და მათ დამატებითი ფუნქციებიც უნდა გააჩნდეთ. მეჩეთში მისულ ადამიანებს სხვადასხვა სულიერი თუ მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება უნდა შეეძლოთ და მეჩეთები აღჭურვილნი უნდა იყვნენ საიმისოდ, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ. ღვთისმსახურების, როგორც მეჩეთის ძირითადი ფუნქციის შესრულების შემდეგ შემდეგი სოციალური მიმართულების განვითარებაა შესაძლებელი:

1. მეჩეთს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, შესაძლებელია გა-

მოყენებული იქნას სახალხო განათლების ცენტრად. დღეისათვის ოჯახებს დახმარება სჭირდებათ ისეთ საკითხებში, როგორიცაა ბავშვის აღზრდა, ჯანმრთელობის დაცვა, უსაფრთხოება და სხვა. მეჩეთში შეიძლება დაიგეგმოს პროგრამები, რომელთა საშუალებითაც ირგვლივ მცხოვრები მოსახლეობა აღნიშნული საკითხების შესახებ მიიღებს ინფორმაციას. ამ იდეის განხორციელებისათვის ასევე შესაძლებელია მეჩეთთან არსებული საქველმოქმედო ორგანიზაციების ჩამოყალიბება.

2. მეჩეთები ახლო კავშირში უნდა იყოს საზოგადების სხვადასხვა ფენასთან, მაგალითად ბავშვებთან, ახალგაზრდებთან და ქალებთან. შესაბამისად მეჩეთთან არსებული საქველმოქმედო ორგანიზაციები ისეთი ფორმით უნდა იყოს ორგანიზებული, რომ გამოყოფილი იყოს ქალთა საკითხები და მიმართულებები.

3. მეჩეთებში უნდა არსებობდეს ბიბლიოთეკა და ასევე სათანადო ადგილზე უნდა დაიდგას ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერი. ამრიგად, მეჩეთში მომუშავე რელიგიურ პირებსა და ბავშვებს შორის კარგი და პოზიტიური ურთიერთობის ჩამოყალიბება გახდება შესაძლებელი.

4. ასევე ვიცით, რომ მეჩეთებში არის მლოცველების ჯგუფი, რომლებიც ძირითადად მოხუცებისგან შედგება და ისინი, როგორც წესი ყველა ნამაზზე იქ არიან. ნამაზის დროის ლოდინში ამ ადამიანებს შესაფერისი ადგილი სჭირდებათ, სადაც კომფორტულად დასხდებიან და ისაუბრებენ, სადაც შეეძლებათ ჩაისა და ყავის დალევა და ა.შ. მათთვის ეს დიდი ყურადღება და პატივისცემა იქნება. გარდა ამისა, განვლილმა წლებმა შეიძლება დააუძლურა ისინი და ასევე რაღაც ტიპის ნაკლოვანებები დაუტოვა, მაგრამ ჩვენი მხრიდან ყურადღება, პატივისცემა, შემწყნარებლობა და მზრუნველობა ადამიანური მოვალეობა და დიდი სიკეთეა.

დღევანდელი საზოგადოებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით მეჩეთში მომუშავე ადამიანები, იმამები და მქადაგებლები, სასურველია ქვემოთჩამოთვლილ საკითხებში უფრო აქტიურნი გახდნენ.

1. იმამები და ქადაგების წამყვანები მეჩეთის ძირითად ჯამაათს კარგად უნდა იცნობდეს. კარგად ცნობაში, რა თქმა უნდა მათი სახელებისა და გვარების ცოდნა არ იგულისხმება, სასურველია მათი საცხოვრებელი ადგილი, განათლება, პროფესია, ეკონომიური მდგომარეობა, ინტერესები

და პრობლემებიც იცოდნენ. ამ მიმართულებით იმამებს შეუძლიათ მლოცველების ახლოს გაცნობის მეთოდები და ფორმები განავითარონ. მათი კარგად გაცნობის მიზანი ისაა, რომ იმამს საშუალება ექნება სწორად და ადეკვატურად მოექცეს იმ ადამიანებს, რომლებთანაც ყოველდღე უწევს ურთიერთობა. გაითვალისწინებს მათ განწყობებს, მდგომარეობას და ამით უფრო იოლად მოახერხებს ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

2. ამ მიმართულებით მეორე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი პარასკევის ლოცვის რეგულარულად შემსრულებელი ჯამაათის ცნობაა. ამ კატეგორიაში შემევალი ადამიანები ძირითადად იმ კონკრეტულ უბანში მცხოვრები ან იქ დასაქმებული ხალხია. მეჩეთში მომუშავე სასულიერო პირმა სასურველია იცოდეს მეჩეთის მახლობლად მცხოვრები ადამიანების სამუშაო პირობები, სამუშაო გარემო და ზოგადად საცხოვრებელი პირობები. ასეთ შემთხვევაში სასულიერო პირს საშუალება ექნება ქადაგებისას უფრო ზუსტი და სასარგებლო რჩევები გასცეს.

3. მესამე საკითხი, რაშიც სასულიერო პირი სასურველია რომ ერკვეოდეს, მეჩე-

თის ირგვლივ ტერიტორიაზე მცხოვრები ოჯახების შესახებ ინფორმაციაა. სასულიერო პირს ამ ოჯახებთან ახლო ურთიერთობა უწევს. სასურველია იცოდეს მათი განათლების დონე, ეკონომიური პრობლემები, ყოველდღიური საზრუნავი და სხვა. ეს ცოდნა ძალიან დაეხმარება მას, რომ ოჯახური თუ მეზობლური ურთიერთობების მიმართულებით სწორი და ადეკვატური რჩევები გასცეს.

4. სასულიერო პირი სოციალურად აქტიური პიროვნება უნდა იყოს. უბანში, სადაც მეჩეთია არის სკოლა, გამგეობა, პოლიცია, საბავშვო ბაღი და სხვა. სასულიერო პირი ახლო ყველა ამ დაწესებულებასთან ურთიერთობაში უნდა იყოს, რათა კონკრეტული მიმართულებით არსებული პრობლემები უკეთ შეისწავლოს და დახმარების მსურველ მოწყვლად ჯგუფებს უფრო ეფექტური დახმარება გაუწიოს.

5. სასულიერო პირი მრევლის ცხოვრებისეულ ყოველდღიურობაში აქტიურად უნდა იყოს ჩაბმული. ის ყოველთვის მრევლის გვერდით უნდა იყოს, ჭირსა და ლხინში. დაბადება, გარდაცვალება, ქორწილი, გასვენება, ავადმყოფობა, ფინანსური კრიზისი და სხვა მსგავსი რამეები ადამიანის ცხოვრების შემადგენელია. ყველა ასეთი

მდგომარეობისას, კარგი იქნება ის თუ ცუდი, ადამიანებს გვერდში მდგომი და გამზიარებელი სჭირდებათ. ასე შემთხვევებში სასულიერო პირის მხრიდან ყურადღება და მხარში დგომა ძალიან დიდ მნიშვნელობას ატარებს.

6. სასულიერო პირი მრევლისთვის ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს. მისი ნახვა, შეხვედრა, კომუნიკაცია იოლად უნდა ხერხდებოდეს. სასულიერო პირი უკიდურესად სანდო და საიმედო უნდა იყოს, რათა ადამიანებს შეეძლოთ, ნებისმიერი დარდი იქნება თუ საიდუმლო მას გაანდონ.

7. სასულიერო პირი საზოგადოებრივი განვითარების ცვლილებებს უნდა გრძნობდეს. დღეს საზოგადოებაში სწავლისადმი მოთხოვნილება მაღალია. საზოგადოების უმეტესი ნაწილი უმაღლესი განათლებითაა და უცხო ენის მცოდნეთა რიცხვიც დღითიდღე მატულობს. გამომდინარე აქედან სასულიერო პირების მიერ ძველებური მეთოდებით ქადაგება, რომელიც ადამიანის ცხოვრებას თავისი შეხედულებებისამებრ შეზღუდვებს უწესებს, პიროვნებებს განიკითხავს და ადანაშაულებს, პოზიტიურ შედეგებს ვერ მოიტანს. დღეისათვის არსებული საზოგადოებრივი სტურქტურა

უფრო მრავალფეროვანია. სახელმწიფო და კერძო დაწესებულებები საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობას ეწევა. სკოლები, უნივერსიტეტები, სასამართლოები, სავაჭრო ორგანიზაციები, პროფესიული სასწავლებლები და სხვა მსგავსი დაწესებულებები თანამედროვე საზოგადოებრივი სტრუქტურის აუცილებელი შემადგენელია. ამ მიართულებით ადამიანების სწორი წარმართვა და სასარგებლო საქმიანობაში მაქსიმალურად ჩაბმა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რასაც სასულიერო პირებმაც ხელი უნდა შეუწყონ.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity

ჩვენი სულიერი ერთიანობის ცენტრი, მეჩეთი

მუსა თექთაშ

ჩვენი სულიერი ერთიანობის ცენტრი მეჩეთებია. ისინი არიან წმინდა სალოცავები, რომლებიც ყოველ „მე“-ს „ჩვენ“-ად აქცევს. ეს არის საუკეთესო ადგილი საიმისოდ, რომ ასე მწკრივებად წარვსდგეთ ღმერთის წინაშე და სხვა ყველაფერი დავივიწყოთ. ლოცვის დროს უკიდურესი მოკრძალებით პირქვე ვემხობით და შუბლს ძირს ვდებთ. ეს არის ღმერთთან ყველაზე ახლოს ყოფნის მომენტი. ეს მომენტია, როცა ჩვენი შინაგანი და გარეგანი ყველაფერი განიწმინდება.

ღმერთის სახლი „ბეითულჰარამ“-ია, დედამიწაზე აგებული პირველი სალოცავი. შემდეგი სალოცავი მესჯიდი აყსაა. ისტორიაა ამის მოწმე.

მექადან მედინაში გადასვლისთანავე შუამავალმა მეჩეთი ააგებინა. ეს იყო ქუბას მეჩეთი. შემდეგ შუამავლის თაოსნობით

საფუძველი ჩაეყარა „მესჯიდი ნებევი“-ს მშენებლობას მედინაში. შუამავალი თავად იღებდა მონაწილეობას ამ მეჩეთის მშენებლობისას, ამიტომ ქააბას შემდგომ მეორე ადგილზე მოიხსენიება.

მას შემდეგ, როცა ეს ლამაზი სარწმუნოება გავრცელდა და ღვთიური წყალობის ნერგმა ფესვი გაიდგა, მეჩეთები ყველგან აშენდა. ძველი სალოცავები კერპებისგან გაიწმინდა და ადამიანთა გულების შეკრების ადგილად გადაიქცა.

ღვთისმორწმუნეები მეჩეთებს ყოველგვარი შიშის გარეშე აგებენ. ამ ქვეყნად სალოცავის ამშენებელი საიქიოში სამოთხის კოშკით დაჯილდოვდება.

იქმნება ქალაქები, რომლებიც მეჩეთის ადგილმდებარეობის მიხედვითაა გაშენებული. ამას ასე აკეთებდნენ ომარი, ოსმანი, ებუ ბექირი, ალი...

ოთხმინარიანი მეჩეთის დანახვაზე ოთხი დიდი ხალიფა გვახსენდება ხოლმე.

ებუ ბექირის ერთგულება, ომარის სამართლიანობა, ოსმანის ლმობიერება და ალის შემწყნარებლობა ისლამისგან, შუამავლის მიერ მოტანილი ყურანისგანაა.

სალოცავები ყველაზე წმინდა და მადლმოსილი ადგილებია, სადაც ადამიანები ღმერთს ადიდებენ და ღვთისმსახურებას ასრულებენ. ადამიანები დღეში ხუთჯერ, ყოველ პარასკევს და წელიწადშ კიდე ორჯერ, ბაირამის ლოცვისას მხარდამხარ დგებიან და ამით ისინი საზოგადოებაში შესაძლო გათიშულობას მთლიანად განდევნიან. წელიწადში ერთხელ კი მსოფლიოს ყველა კუთხიდან სხვადასხვა კანის ფერისა და სტატუსის მქონე ადამიანები მექაში ჩადიან და ერთად დგომის, ერთიანობის უპრეცენდენტო მაგალითს იძლევიან. ინდოეთში, ნიგერიაში, სამხრეთ აფრიკაშ, ციმბირში, ანატოლიაში, ევროპაში, ავსტრალიაში, აზიაში, ამერიკაში და მოკლედ ყველგან, ადამიანები მეჩეთში შესვლისას მარჯვენა ფეხს დგამენ და ღმერთს მიკედლებულები მისგან წყალობას ელოდებიან. ისინი მირაჯის საიდუმლოს სწვდებიან, გამჩენის წინაშე ემხობიან და ასე გებულობენ რაოდენ ღირსეული არსებაა ადამიანი. გამჩენის წინაშე მდგომი ადამიანები სიმშვიდეს ჰფოვებენ.

ქადაგებისას ძვირფასი რჩევა-დარიგებები მოედინება და ჯამაათიც ამ შეუფასებელ სიმდიდრეს მდუმარებით იღებს. იმამთან ერთად ყველანი მექასკენ დგებიან და ასეთი ერთსულოვნებით სულიერ სიტკბოებას მიეცემიან ხოლმე. ქააბას კენ მდგო-

მი მლოცველები იმამთან ერთად ერთ სულად გადაიქცევიან. მუეზინი ლოცვისკენ მოწოდებას დაიძახებს, ნამაზი სრულდება და ბოლოს ყველანი ხელებს აღაპყრობენ, რათა განადიდონ ღმერთი და შეევედრონ მას.

მეჩეთზე, ჯამაათის ერთიანობის სიმბოლოდ გუმბათებია გაკეთებული, ხოლო ერთი ღმერთის სათაყვანებლად მინარეთები ამშვენებს. მინარეთებიდან წამოსული ეზნის ხმა კარგად უნდა ისმოდეს. მეჩეთები სინათლის კოშკებია, რომლებიც ქალაქებს რთავენ.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim international charity

მეჩეთი და მუსლიმის ცხოვრება

დოც. დოქთ. ზულფიქარ გუნგორ

როდესაც შუამავალი მექადან მედინაში ჩავიდა, უპირველეს ყოვლისა ადგილი შეარჩია და მეჩეთი ააგო. ამ ფაქტმა განაპირობა ის, რომ ისლამურ სამყაროში ქალაქების არქიტექტურა მეჩეთების ირგვლივ განაშენიანების ტენდენციის გზას დაადგა. ქალაქი, სადაც მეჩეთი არ იყო მუსლიმური ქალაქი ვერ იქნებოდა და ეს ასეა სხვა რელიგიების შემთხვევაშიც. ქრისტიანულ ქალაქებში აუცილებლად არის ეკლესიები, ებრაელებით დასახლებულ ქალაქებში-სინაგოგები და ა.შ.

ისლამური ქალაქების განაშენიანებისას, როგორც უკვე აღვნიშნეთ ქალაქის ცენტრში მეჩეთი შენდებოდა და მერე მის ირგვლივ იწყებოდა განაშენიანება. ეს ტენდენცია ჩანს როგორც ისლამის დროს აშენებულ ქალაქებში, ისე დაპყრობილ ტერიტორიებზეც. შესაბამისად ყველა დასახლებულ პუნქტში, ამ ტენდენციის საი-

ლუსტრაციოდ, ჩვენ ვხედავთ დიდ და პატარა მეჩეთებს. ამ მიწებზე, სადაც ჩვენი ერი ათას წელზე მეტი ხანია ცხოვრობს, ყველგან მეჩეთებია აშენებული, როგორც ხელოვნების ძირითადი შედევრები.

„მხოლოდ ის ააგებს ალლაჰის სამლოცველოებს, ვინც ირწმუნა ალლაჰი, დღე უკანასკნელი და აღავლინა ლოცვა, გაიღო ზექათი და არ აქვს შიში, გარდა ალლაჰისა. ეგების ჭეშმარიტ გზაზე მავალნი იყვნენ ეგენი!“ (თებვე 18)

როგორც აიათშია გადმოცემული, რწმენამ, ღვთისმოშიშობამ და ერთგულებამ ისლამის არქიტექტურაზეც იქონია გავლენა და შეიქმნა უდიდესი არქიტექტურული ნიმუშები. ამის შესახებ აჰმედ ჰამდი თანპინარი თავის ნაწარმოებში „ხუთი ქალაქი“, წერს:

„ჩვენი წინაპრები კი არ აშენებდნენ, არამედ ღვთისმსახურებდნენ. მათ გააჩნდათ ისეთი სული და რწმენა, რომ სულიერების მატერიაში გადაცემა შეეძლოთ. მათ ხელებში ქვა ცოცხლდებოდა და სულის ნატეხად გარდაიქმნებოდა“.

ყველა იმ მეჩეთში, რომელთა შესახებ თანფინარი საუბრობს, არის ერთი ღმერ-

თის სადიდებელი, საერთო სული. ეს არის რწმენა, რომ ღმერთი ერთადერთია და მას არ გააჩნია ტოლი და სწორი. მეჩეთების მინარეთებიდან ნაკითხი ეზანი, საუკუნეების მანძილზე, ამ საერთო სულს მთელ სამყაროს უწყვეტ რეჟიმში გადასცემს. ეზანი ხოლ ლოცვისკენ, განწმენდისა და გადარჩენისაკენ მოგვიწოდებს. ეზანი ღვთისმსახურებისკენ მოგვიწოდებს, რათა ადამიანთმსახურებისგან გადავრჩეთ. როგორც მოგეხსენებათ დედამიწაზე მზე სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა დროს ამოდის, ამიტომ ეზანიც სისტემატიურად ისმის მთელ დედამიწაზე. უკვე საუკუნეებია ეზანი სარწმუნოების ძირითად საფუძვლებს დღეში ხუთჯერ იმეორებს.

მუსლიმებისთვის ისლამი თავად სიცოცხლეა, ხოლო მეჩეთი ამ სიცოცხლის ცენტრია. გამთენიისას დილა მეჩეთში მისვლით და ლოცვით იწყება, დღეში ხუთჯერ ნამაზი სრულდება და ბოლოს ღამეში, ღამის ნამაზით მთავრდება და მორწმუნე სახლში დასასვენებლად მიდის. დღეში ხუთჯერ მეჩეთში შესრულებული ნამაზი მუსლიმის რწმენას აცისკროვნებს, რითიც მუსლიმი ადამიანის ცხოვრებაა განათებული. მუსლიმი ადამიანების ცხოვრებაში მეჩეთის მნიშვნელობაზე სეზაი ქარაქოჩი წერს:

„როდესაც ჩვენი მეჩეთები საზოგადოების ყველაზე წმინდა და ხალხმრავალ ადგილებად გვქონდა, მშოფლიოში ყველაზე მაღლა მდგომი ხალხი ვიყავით. როგორც კი ჩვენი ცხოვრებიდან მეჩეთის განდევნა დავიწყეთ, როგორც ღვთიური სასჯელი, ჩვენც ცხოვრებისგან ჩამოქვეითება დავიწყეთ... მუსლიმი ხალხი, რომელიც ცხოვრებას მეჩეთებში გადაიტანს, ნამდვილ ცხოვრებას ეზიარება, რადგან მეჩეთიდან საზოგადოებაზე გადმოღვრილი სიცოცხლე უკვდავებითაა განმტკიცებული და მუდმივ სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებს“.

ქარაქოჩის აზრით დღეისათვის მეჩეთების მხოლოდ გარეგანი რესტავრაცია მიმდინარეობს და შინაგან, ანუ მეჩეთის სულიერ ამაღლებას ყურადღება აღარ ექცევა. ქარაქოჩის აზრით დღეს არსებული სავალალო მდგომარეობისგან თავის დასაღწევად მეჩეთების სულიერი აღორძინებაა საჭირო. აქ შეიძლება ერთი შეკითხვა დაიბადოს: რა არის მეჩეთის სული და როგორ შეიძლება ის გაცოცხლდეს? მეჩეთების სული ის მართლმორწმუნე მუსლიმები არიან, რომლებიც ერთი ღმერთის რწმენას მუდმივად გულშ ინახავენ და მეჩეთში მთელი გულითა და გულწრფელობით ლოცვას აღავლენენ.

საბოლოო ჯამში, მეჩეთები და მათი მინარეთებიდან წამოსული ხმა ის ფაქტორების, რომლებიც ადამიანის ცხოვრებასთან უკიდურესად ახლო კავშირშია. ჩვენი ცხოვრება დაბადებისას ყურში წაკითხული ეზნით იწყება და სიკვდილსაც მინარეთიდან ნაკითხი სელათი ამცნობენ ყველას და გასვენებაც მიცვალებულის ნამაზით სრულდება.

ჩვენ, საიქიოში მუდმივი ცხოვრების ბედნიერებისთვის ამქვეყნად გამოსაცდელი სიცოცხლე გვებოძა და ამ სიცოცხლის უფრო შინაარსიანად და სასარგებლოდ გატარებისათვის მეჩეთები უნდა შევავსოთ და აქ მიღებული სულიერი საზრდოთი ჩვენი სულები მუდმივად ცოცხლად შევინახოთ, ამ გზით გარემოსა და სხვათა მიმართაც სასარგებლონი ვიქნებით.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim international charity
muslim georgia

მეჩეთის ორეფექტიანის დაბადება და განვითარება

დამხ. დოც. დოქტ. აბდულქადირ დუნდარ

სანამ მუსლიმებს ქააბაში ღვთისმსახურების შესრულებას აუკრძალავდნენ, მანამდე აბუ ბაქარი და ამმარ იბნი იასირი განსაკუთრებული შემთხვევების დროს საკუთარ სახლებში, შესასვლელში მოწყობილ სახელდახელო სალოცავებში ლოცულობდნენ. შემდეგ ქააბაში ლოცვა აუკრძალეს და მუსლიმები იძულებული გახდნენ სხვა ადგილი მოეძებნათ. ასეთი ადგილი იყო ერქამის სახლი, რადგან მუსლიმთა სახლებს შორის ეს სახლი ქააბასთან ყველაზე ახლოს იყო. ამრიგად მუსლიმებმა ასე იძულებით შექმნეს მეჩეთის პირველი მოდელი, რომელიც შემდეგ ქუბას მეჩეთში, ხოლო შემდეგ მედინაში შუამავლის მეჩეთში იქნა გამოხატული.

622 წელს, როდესაც შუამავალი მექადან მედინაში გადასახლდა, საჭირო გახდა მეჩეთისა და ამასთანავე საცხოვრებელი ფართის მშენებლობა, რათა მუსლიმებს

ღვთისმსახურება შეესრულებინათ, ხოლო საცხოვრებელ ნაწილში შუამავალს და მის მეუღლეებს ეცხოვრათ.

შუამავლის მეჩეთის ყოველი კუთხე სიგრძით ასი „ზირა“ იყო. საძირკველში და ქვევიდან 3 არშინის სიმაღლეზე ქვით იყო ნაგები, ხოლო მის შემდეგ 4 არშინი - აგურით. ამრიგად ეს იყო კვადრატის ფორმის ნაგებობა, რომელსაც სამი მხრიდან, აღმოსავლეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან ჰქონდა შესასვლელები. შენობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში შუამავლის მეუღლეებისთვის ორი ოთახი იყო გაკეთებული, ხოლო მოგვიანებით ამ ოთახების რაოდენობამ ცხრამდე მიაღწია. მეჩეთის სამხრეთ ნაწილში მექადან ჩამოსული უსახლკარო და ღარიბი მუსლიმები ცხოვრობდნენ. სწორედ ესენი იყვნენ ცნობილი „სუფეი“,რომლებიც მეჩეთში მუდმივი ჯემაათი იყო და ამასთანავე შუამავლის ქადაგებებს და სწავლებებს მუდმივად ესწრებოდნენ. მეჩეთის იატაკს წვრილი ქვიშა წარმოადგენდა და მას თავდაპირველად არ ჰქონდა არც მიჰრაბი და არც მინარეთი. ლოცვის მიმართულების ნიშნად კედელზე ნიშანი იყო გაკეთებული, ხოლო ეზანს მეჩეთის სახურავზე კითხულობდნენ. 624 წლის 2 იანვარს ლოცვის მიმართულება იერუსალიმიდან მექასკენ შეიცვალა და საჭირო გახდა შენობის ინტერიერის გა-

დაკეთება. უსახლკაროთა თავშესაფრის ნაწილი სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ გადავიდა, ხოლო წინა ნაწილად სამხრეთი იქცა. სამხრეთის კარი დაიკეტა, ხოლო მის მაგივრად ჩრდილოეთის კედელზე ახალი კარი გაიხსნა. შენობის შუაში იყო ჭა, საიდანაც იქ მცხოვრები ადამიანები წყალს იყენებდნენ და ასევე მლოცველებისთვის ლოცვისწინა მცირე განბანვაც (აბდესი) ამ წყლით ხდებოდა.

შუამავლის მეჩეთის პირვანდელი სახისგან არარაფერია შემორცენილი, მაგრამ ამის შემდეგ ისლამურ არქიტექტურაში ძირითადი მიმართულებები სწორედ აქედან იღებს სათავეს. გარდა ამისა, შუამავლის მეჩეთში არსებული სხვადასხვა განყოფილებები შესაბამისი სფეროს განვითარებას დაედო საფუძვლად. „ასჰაბი სუფფე“ მომავლის მედრესეებს დაედო საფუძვლად, მეჩეთის ცენტრში არსებული ჭა, მომავალში, შადრევნებად იქცა და ა.შ.

ისლამის არქიტექტურაში აღსანიშნავის ოთხი დიდი ხალიფას მოღვაწეობის დროს აგებული მეჩეთები. ესენია: ქუფე (635-636), ბასრა (635), ფუსტატ ამრ მესიჯიდი (6410642). ამ მეჩეთებს ირგვლივ თხრილი ან კედელი ჰქონდათ შემოვლებული და დიდ ფართობზე იყვნენ მოთავსებული, სადაც სათათბი-

როც მდებარეობდა. ამ მეჩეთების შესახებ ბევრი და ზუსტი ცნობები არ მოიპოვება, რადგან მალევე ცვლილებები განიცადეს. ამის შემდეგ უკვე ემევების დროს (661-750) აგებული მეჩეთები წამოვიდა წინა პლანზე და თანამედროვე არქიტექტურის განვითარებისა და დასაბამის თვალსაზრისით პირველ მაგალითებად სწორედ ეს მეჩეთები მიიჩნევა. ამ სტილზე აგებული მეჩეთები შემდეგია: მესჯიდი აყსა (702), შამ უმეიე (705-715), სეიდი უქბა (670-728) ჰალეპ ულუ (მერვე საუკუნის პირველი ნახევარი), და სხვა.

აბასების მმართველობის პერიოდში (750-1258), განსაკუთრებით კი პირველ ნახევარში ისლამის კულტურისა და ცივილიზაციის მხრივ მნიშვნელოვანი განვითარება შეინიშნებოდა. ამ პერიოდის მეჩეთების არქიტექტურაში მესოპოტამიისა და აღმოსავლური ტრადიციების გავლენა იგრძნობა. აბბასთა მმართველობისას ერთის მხრივ შენარჩუნდა ადრინდელი კვადრატული ფორმის მეჩეთების სტილი, მაგრამ ასევე შეიცვალა მრავალი მიმართულებები და ზომები, რამაც სრულიად ახალი არქიტექტურა შექმნა. მაგალითად სამერრას დიდი მეჩეთი ემევების სტილისგან განსხვავებით აგურითაა ნაშენი და მისი არქიტექტურითა და ზომებით იმ პერიოდის ყველაზე მნიშნელოვანი მეჩეთია.

რაც შეეხება ფატიმელთა მმართველობის პერიოდს (909-1171), იმ პერიოდის არქიტექტურაში შეინიშნება როგორც ემეველთა, ის აბასიანთა პარიეოდის არქიტექტურის გავლენა, თუმცა, ძირითადად მაინც ჩრდილოეთ აფრიკული ტენდენციები შეინიშნებოდა. ამ პერიოდის მეჩეთებია: მეჰდიე (916), ქაიროს ეზჰერი (972), სფაქსი (988), ქაიროს ელ ჰაქიმი (990-1003), ქაიროს ელ ჯუიუში (1085), ქაიროს ელ აქმერი (1125),

დიდი სელჩუკების პერიოდში (1040-1307) თურქული არქიტექტურის მანამდე არსებული ტენდენციები იქნა გათვალისწინებული და შედეგად ჩამოყალიბდა მეჩეთის არქიტექტურა, რომლის მიხედვითაც მეეთებს ჰქონდათ გუმბათები, მიჰრაბი, შესასვლელში დიდი სივრცე და აივნები. ამ ტიპის არქიტექტურა გავრცელდა ირანსა და მთელს აღმოსავლეთში. სელჩუკების მიერ ირანში აშენებული მეჩეთებიდან ზოგიერთი შემდეგია: მელიქ შაჰის დროს აგებული ისფაჰანის მესჯიდი ჯუმა (1072-1092), გულფეიგანის მეჩეთი (1108-1118), ყაზვინის „მესჯიდი ჯუმა“ (1113-1119), ბასიანის „მესჯიდი ჯუმა“ (1134), ზევარეს „მესჯიდი ჯუმა“ (1135), არდისტანის „მესჯიდი ჯუმა“ (1158) და სხვ.

სელჩუკებისა და ოსმალთა არქიტექტურას შორის ხიდის როლი ითამაშა სამ-

თავროების პერიოდმა. ამ პერიოდის არ-ქიტექტურაში არის როგორც სელჩუკთა არქიტექტურის კვალი და ასევე მომავა-ლი, ოსმალური არქიტექტურის წინამორ-ბედი არქიტექტურული ტენდენციებიც. ამ პერიოდის მეჩეთებს ასევე მრავალმხრივი ფუნქცია გააჩნდათ. სალოცავის გარდა აქ იყო მედრესეები, მიცვალებულთა გასვენე-ბის რიტუალისთვის ადგილი და სხვა. იმ დროინდელი არქიტექტურის ნიმუშებია მა-ნისას ულუ მეჩეთი (1376) და სელჩუკ ისა ბეის მეჩეთი (1374).

სამთავროების შემდეგ ანატოლიაში არსებული თურქული მეჩეთების ყველაზე მნიშვნელოვანი არქიტექტურული ნიმუშე-ბი ოსმალეთის ადრეულ პერიოდს (1299-1481) მიეკუთვნება.

ოსმალთა მმართველობის ე.წ. კლა-სიკურ პერიოდში (1481-1720 წწ.) გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც მეჩეთის ყველა განყოფილება ერთ ჭერქვეშ უნდა მოქცეულიყო. ამისათვის საჭირო იყო ისე-თი არქიტექტურული პროექტის მოფიქ-რება, როდესაც ვრცელი ფართობის მქო-ნე შენობას ერთი გუმბათი ექნებოდა და ყველა განყოფილებას დაიტევდა. მცდე-ლობა ცნობილი არქიტექტორის, სინანის მცდელობით შესრულდა და მას შემდეგ

ამ მიმართულებით რაიმე სიახლე აღარ ყოფილა.

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

მეჩეთი და ქალი

დოქ. ჰაფსა ფიდან

მეჩეთებს, რომლებიც ისლამის სარწმუნოების წმინდა ადგილებს წარმოადგენენ, გააჩნიათ თვისება გამჩენი და ადამიანი ერთ, განსაკუთრებულ ატმოსფეროში შეკრიბონ. მორწმუნე ქალები და მამაკაცები მუდმივად გრძნობენ ღმერთთან სიახლოვეს და მასთან ყოფნას, მაგრამ მეჩეთში მისვლისას ისინი განსაკუთრებით ემზადებიან, რათა ღმერთის წინაშე წარსდგნენ. ეს ისეთი ადგილია, რომ აქედან ადგილისა და დროის მიღმა გასვლაა შესაძლებელი.

ჩვენთვის ცნობილია, რომ მეჩეთები მხოლოდ ლოცვა-ვედრებისთვის განკუთვნილი სპეციალური შენობები არ არის და მათ სხვა ფუნქციებიც აკისრიათ. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო ჯერ კიდევ მაშინ, „ბედნიერების ხანაში“. მეჩეთები, გარდა ღვთისმსახურების ადგილებისა, იყო საგანმანათლებლო ცენტრები, უსახლკაროთა თავშესაფარი, სათათბირო

და სხვა. ამ მდგომარეობის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქალებიც ღვთისმსახურების გარდა სხვა აქტივობებშიც იყვნენ ჩართულნი. შუამავლის მოღვაწეობისა და მის შემდგომ პერიოდშიც ქალები მეჩეთებში დადიოდნენ და მათი მრავალმხრივი ფუნქციითაც სარგებლობდნენ. შუამავალს პირადად მოუთხოვია, რომ ქალბატონებიც მისულიყვნენ მეჩეთში და სხვადასხვა აქტივობებში ჩართულიყვნენ. შუამავალს სურდა, რომ მუსლიმი თემი ერთიანი ყოფილიყო და ამ ერთიანობისთვის ყველანი ერთ ჯამაათად უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ.

ისლამური საზოგადოების იმდროინდელი გამოცდილება შემდგომშიც, ანუ ხალიფების პერიოდშიც მსგავსი ფორმით გაგრძელდა. ერთხელ როდესაც ხალიფა ომარი მეჩეთში, მინბერიდან ქადაგებდა თქვა, რომ ქალებზე მიცემული „მიჰრი“ ძალიან მაღალია და უნდა შევზღუდოთო. ერთ-ერთმა ქალმა, რომელიც მის ქადაგებას უსმენდა, მინბერიდან ჩამომავალი ხალიფა შეაჩერა და უთხრა: „ჰეი, ომარ! არ გაგიგონია ღმერთი ყურანში რას ბრძანებს? „და თუ მოიწადინებთ მეუღლეზე განქორწინებას და სანაცვლოდ სხვა ქალის შერთვას, და გქონდათ მიცემული რომელიმე მათგანზე (მიჰრი, ურვადი) თუნდაც დიდი რაოდენობით , უკან არ გამოართვათ არაფერი. ნუ-

თუ ცილისწამებით წაართმევთ მას (ურ-
ვადს) და აშკარად შესცოდებთ?

ამ დროს როგორ შეგიძლია მიჰრის
შეზღუდვაზე ისაუბრო?“

ამის შემდეგ ხალიფა მინბერზე უკან
ასულა, თავისი სიტყვა უკან წაუღია და
უთქვამს: „ქალმა უკეთ გაიგო, ვიდრე ომარ-
მა და ომარი გააჩუმა“. (იბნ ქესირ, 1, 467)

ამ მოვლენის ანალიზისას აშკარაა, რომ
იმ დროინდელი ქალები არამარტო ლოც-
ვება და ქადაგებებს ესწრებოდნენ, არამედ
თავიანთი უფლებების ასე აშკარად და მა-
მაცად დაცვაც შეეძლოთ.

დღევანდელობასთან თუ გავავლებთ
პარალელს, ქალები დღესაც ესწრებიან
ლოცვებს მეჩეთში, ისმენენ ქადაგებებს,
სწავლობენ ყურანის კითხვას და სხვ.

ზოგადად დაწესებულებების მოქმე-
დების სფეროები დამოკიდებულია სო-
ციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ
ცვლილებებზე და მათი ცვლილებისდა
მიხედვით იცვლებიან და სხვადასხვა მი-
მართულებით ვითარდებიან. განსაკუთრე-
ბით აღსანიშნავია მეჩეთთან არსებული
საქველმოქმედო ორგანიზაციების საქმი-

ნობა. მეჩეთთან ერთად მისი გარემოსა და კულტურის ჩამოყალიბებაში მამაკაცებთან ერთად ქალებიც აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდნენ. მათ მიერ განხორციელებული აქტივობები მეჩეთების ფუნქციონირების ცოცხლად შენარჩუნებას დიდად წაადგება. ეს არის როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე გამოწვევა და მეჩეთების მრავალფუნქციური დანიშნულების განვითარებას და მეჩეთების სიცოცხლისუნარიანობას განა არ ისურვებთ?!

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim international charity